საქართველოს მთავრობის

დადგენილება №410

2014 წლის 18 ივნისი

ქ. თბილისი

„საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების შესახებ“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების თაობაზე

მუხლი 1

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტისა და მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების შესახებ“ სახელმწიფო პროგრამა“ (შემდგომში - პროგრამა).

მუხლი 1[1]

დამტკიცდეს პროგრამაში მონაწილეობის თანხმობის ფორმა, დანართის შესაბამისად.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 2 სექტემბრის დადგენილება №454 - ვებგვერდი, 04.09.2015წ.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

„საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების შესახებ“ სახელმწიფო პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის რეგულირების სფერო

1. ეს პროგრამა განსაზღვრავს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში (შემდგომში - საჯარო დაწესებულება) სტაჟირების გავლის წესსა და პირობებს.

2. ამ პროგრამის მოქმედება არ ვრცელდება საქართველოს საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში (გარდა აღნიშნული სასამართლოების აპარატებისა), საქართველოს პროკურატურაში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სსიპ – აღსრულების ეროვნულ ბიუროში, სსიპ – საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამის სამსახურში, საქართველოს ეროვნულ ბანკში, საქართველოს დაზვერვის სამსახურში, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში, სამხედრო სამსახურში, დიპლომატიურ სამსახურში, სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში, სსიპ – კონკურენციის სააგენტოში, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატში, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატში, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში სტაჟირების გავლის საკითხებზე.

3. ამ პროგრამით გათვალისწინებულ სტაჟირების გავლის წესსა და პირობებს არ ექვემდებარებიან საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამედიცინო პროფილის საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულები.

4. პროგრამაში მონაწილეობს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება – უნივერსიტეტი, რომელიც ახორციელებს სამივე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს და სამეცნიერო კვლევებს, ასევე სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი და სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი .

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 დეკემბრის დადგენილება №643 – ვებგვერდი, 02.12.2014წ.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 თებერვლის დადგენილება №65 – ვებგვერდი, 20.02.2015წ.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 2 სექტემბრის დადგენილება №454 - ვებგვერდი, 04.09.2015წ.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 სექტემბრის დადგენილება №493 - ვებგვერდი, 25.09.2015წ.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 დეკემბრის დადგენილება №532 – ვებგვერდი, 12.12.2016წ.

მუხლი 2. სტაჟირების მიზანი

ამ პროგრამის ფარგლებში, საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების მიზანია:

ა) საჯარო დაწესებულებაში დასაქმების მსურველ პირთათვის პროფესიული გამოცდილების შეძენის შესაძლებლობის შექმნა;

ბ) შესაბამისი პროფილის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების საშუალების მიცემა;

გ) საჯარო დაწესებულებებისათვის კვალიფიციური კადრების მომზადება;

დ) სტაჟირების ერთიანი სტანდარტის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს სახელმწიფო სექტორში დასაქმების მსურველთათვის ჯანსაღი კონკურენციის შექმნასა და საჯარო სამსახურში დასაქმების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას;

ე) სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის საჯარო მოსამსახურისათვის დამახასიათებელი ეთიკური ნორმებისა და სტანდარტების გაზიარება;

ვ) სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებში დასაქმების შესაძლებლობების შესახებ ცნობიერების ამაღლება;

ზ) მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვის გზით, საჯარო სამსახურის ერთიანი საკადრო პოლიტიკის გატარების ხელშეწყობა, საჯარო დაწესებულებების უზრუნველყოფა მოხალისე დამხმარე ძალით;

თ) დასაქმების თანაბარი პირობების შექმნა, როგორც რეგიონებში მცხოვრები პირებისათვის, ისე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის;

ი) საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების იმ წარმომადგენლებისათვის, რომლებსაც ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო ან ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად გავლილი აქვთ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, პროფესიული გამოცდილების შეძენის შესაძლებლობის შექმნა, მათი ჩართულობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 დეკემბრის დადგენილება №547 – ვებგვერდი, 21.12.2017წ.

მუხლი 3. სტაჟიორები

1. საჯარო დაწესებულებებში სტაჟირებაზე მიიღება საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც ფლობს სახელმწიფო ენას, სწავლობს ამ წესის პირველი მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბაკალავრიატის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, არის დამამთავრებელი სემესტრის (ბოლო ორი სემესტრი) სტუდენტი ან სწავლობს სამაგისტრო ან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე და სწავლისას გამოირჩევა მაღალი აკადემიური მოსწრებით, რაც დასტურდება GPA-ით (მინიმუმ 3.0 შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებაში GPA-ის გამოთვლის წესის არსებობის შემთხვევაში) ან საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკულით (მინიმუმ (B) ძალიან კარგი 81-90%); აგრეთვე პირი, რომელმაც დაასრულა ბაკალავრიატის, სამაგისტრო ან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, ამ საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებიდან გასული არ არის ორ წელიწადზე მეტი და რომელიც სწავლისას გამოირჩეოდა მაღალი აკადემიური მოსწრებით, რაც დასტურდება GPA-ით (მინიმუმ 3.0 შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებაში GPA-ის გამოთვლის წესის არსებობის შემთხვევაში) ან საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკულით (მინიმუმ (B) ძალიან კარგი 81-90%).

1^1. საჯარო დაწესებულებაში სტაჟირებაზე ასევე მიიღება საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელსაც ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო ან ვეტერინარიის

ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად გავლილი აქვს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა და რომელიც არის ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო ან ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მესამე/მეოთხე კურსის სტუდენტი/ კურსდამთავრებული ან მაგისტრატურის სტუდენტი/ კურსდამთავრებული.

2. სტაჟირება შესაძლებელია გაიაროს საქართველოს ქმედუნარიანმა მოქალაქემ, რომელსაც განათლება მიღებული აქვს, კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებულ, უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რაც დასტურდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული გადაწყვეტილებით, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ, მისი სწავლის დასრულებიდან გასული არ არის ორ წელიწადზე მეტი და სწავლისას გამოირჩეოდა მაღალი აკადემიური მოსწრებით, რაც დასტურდება GPA-თ (მინიმუმ 3.0 შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში GPA-ს გამოთვლის წესის არსებობის შემთხვევაში) ან საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკულით (მინიმუმ (B) ძალიან კარგი 81-90%).

3. სტაჟიორის კვალიფიკაცია ან საგანმანათლებლო პროგრამა, სადაც სტაჟიორი სწავლობს, თანხვედრაში უნდა იყოს საჯარო დაწესებულების სტრუქტურული ერთეულის პროფილთან.

4. საჯარო დაწესებულების მხრიდან, ამ დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში მისაღები სტაჟიორების მიმართ დამატებითი მოთხოვნების დაწესება დაუშვებელია.

5. საჯარო დაწესებულებას უფლება აქვს, ამ მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი შეზღუდვის მიუხედავად, სტაჟირებისათვის განკუთვნილი ვაკანსიების სპეციფიკიდან გამომდინარე, ამ დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში მისაღები სტაჟიორების მიმართ დამატებით მოთხოვნად განსაზღვროს უცხო ენის ცოდნა, აღნიშნულის შესახებ სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროსათვის წინასწარი შეტყობინების საფუძველზე და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უცხო ენის ცოდნის გარეშე შეუძლებელია სტაჟირების გავლა.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 თებერვლის დადგენილება №65 – ვებგვერდი, 20.02.2015წ.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 2 სექტემბრის დადგენილება №454 - ვებგვერდი, 04.09.2015წ.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 დეკემბრის დადგენილება №547 – ვებგვერდი, 21.12.2017წ.

მუხლი 4. სტაჟიორთა სავალდებულო კვოტა და სტაჟირების ვადა

1. საჯარო დაწესებულებაში სტაჟიორთა მიღების მიზნით, საჯარო დაწესებულება განსაზღვრავს სტაჟიორთა სავალდებულო კვოტას, მაგრამ არანაკლებ შესაბამისი საჯარო დაწესებულების შტატით გათვალისწინებულ თანამდებობებზე ფაქტობრივად დასაქმებულთა 10%-სა.

1^1. საჯარო დაწესებულებამ ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული სავალდებულო კვოტის ფარგლებში უნდა განსაზღვროს ამ პროგრამის მე-3 მუხლის 1^1 პუნქტით გათვალისწინებულ სტაჟიორთა რაოდენობა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საჯარო დაწესებულებაში შტატით გათვალისწინებულ თანამდებობებზე ფაქტობრივად დასაქმებულთა 10%-ს შეადგენს ერთი დასაქმებული.

2. სტაჟირების ხანგრძლივობა განისაზღვრება 1 თვიდან 6 თვემდე ვადით. 6 თვეზე ნაკლები ვადით მიღებულ სტაჟიორს, დაწესებულების ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია გაუგრძელდეს სტაჟირების ვადა, რომელიც საერთო ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.

3. სტაჟირების ვადა, აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებისათვის, შესაძლებელია, აისახოს სტუდენტის სასწავლო კრედიტების რაოდენობაში, შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

4. ამ პროგრამის მიზნებისათვის, სტაჟირება ერთჯერადი ხასიათისაა, ტარდება სასწავლო/პროფესიული გამოცდილების მიღების მიზნით და ანაზღაურების გარეშე.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 თებერვლის დადგენილება №65 – ვებგვერდი, 20.02.2015წ.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 დეკემბრის დადგენილება №547 – ვებგვერდი, 21.12.2017წ.

მუხლი 5. სტაჟირების უწყვეტობა

1. საჯარო დაწესებულებაში სტაჟიორთა მიღება ხორციელდება ყოველწლიურად, ორ ნაკადად.

2. პირველი, შემოდგომის ნაკადის მიღება ხდება ოქტომბერში, ხოლო მეორე, გაზაფხულის ნაკადის – აპრილში.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 2 სექტემბრის დადგენილება №454 - ვებგვერდი, 04.09.2015წ.

მუხლი 6. სტაჟირების გავლის საერთო წესი

1. საჯარო დაწესებულებაში სტაჟიორად პირი მიიღება სსიპ – საჯარო სამსახურის ბიუროს (შემდგომში – ბიურო) მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე (stajireba.gov.ge) განთავსებულ ვაკანსიაზე განაცხადის რეგისტრაციის მეშვეობით.

1^1. ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე (stajireba.gov.ge) ფიზიკურ პირთა რეგისტრაციის პროცესში მათი იდენტიფიცირების, მოქალაქეობისა და რეგისტრაციის შესახებ მონაცემების მიღების მიზნით, ბიურო უფლებამოსილია, გამოითხოვოს და მიიღოს სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ფიზიკური პირის შესახებ არსებული პერსონალური მონაცემები, რომელიც საჭიროა სტაჟირების სახელმწიფო პროგრამისათვის.

2. ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე სტაჟიორობის კანდიდატის მიერ რეგისტრაციის დროს მიმართულებისა და დარგის/სპეციალობის შეუსაბამო ვაკანსიის არჩევის, ასევე, სტაჟირებისათვის განკუთვნილი ვაკანსიების სპეციფიკიდან გამომდინარე, საჯარო დაწესებულების მიერ განსაზღვრული უცხო ენის არცოდნის შემთხვევაში, სტაჟიორობის კანდიდატი ვერ გაივლის სტაჟირებას აღნიშნული პროგრამის ფარგლებში.

3. პროგრამის ვებგვერდზე (stajireba.gov.ge) ბიუროს მიერ ხდება საჯარო დაწესებულებების მიერ გამოცხადებული სტაჟირების ვაკანსიების განთავსება, გარდა ამ პროგრამის მე-3 მუხლის 1^1პუნქტით გათვალისწინებული სტაჟიორთა ვაკანსიებისა. ამ პროგრამის მე-3 მუხლის 1^1 პუნქტით გათვალისწინებული სტაჟიორობის კანდიდატი პროგრამულად ირჩევს მხოლოდ ერთ ვაკანსიას. არჩეული ვაკანსიის შეცვლა დაუშვებელია. სტაჟიორობის კანდიდატის მიერ არჩეულ ვაკანსიაზე წვდომა არ აქვს სტაჟიორობის სხვა კანდიდატს.

3^1. პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია, სტაჟიორობის კანდიდატმა, ამ დადგენილებით დამტკიცებული დანართის შესაბამისად, განაცხადოს წერილობითი თანხმობა სტაჟირების კონკრეტულ ნაკადში მონაწილეობის თაობაზე შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ბიუროს მიერ რეგისტრაციის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი თვისა.

4. სტაჟიორობის კანდიდატების განცხადებების მიღება, მათი რეგისტრაციის (კურსდამთავრებულებისათვის) ან უნივერსიტეტის ადგილმდებარეობის (აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებისათვის) და პროფილის, ასევე, მათი აკადემიური მოსწრების (GPA-თ, მინიმუმ 3.0 - შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში GPA-ს გამოთვლის წესის არსებობის შემთხვევაში ან საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკულით, მინიმუმ (B) ძალიან კარგი - 81-90%) მიხედვით, განაწილება შესაბამის საჯარო დაწესებულებებში, ხდება ელექტრონულად, ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით. ამასთან, სტაჟიორობის კანდიდატებისთვის პროგრამული რეგისტრაციის ვადა არ უნდა იყოს 10 დღეზე ნაკლები.

5. ბიურო, თითოეული ნაკადისათვის გათვალისწინებული ვადის დაწყებამდე 3 თვით ადრე, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, აცნობებს საჯარო დაწესებულებების ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს სტაჟირების გამოცხადების ვალდებულების შესახებ, ხოლო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მონაცემთა ბაზის ფორმირების მიზნით, შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების შესაძლებლობის შესახებ.

6. საჯარო დაწესებულება ვალდებულია, შესაბამისი ნაკადისათვის გათვალისწინებული ვადის დაწყებამდე 2 თვით ადრე მიაწოდოს ბიუროს ინფორმაცია საჯარო დაწესებულებაში არსებული სტაჟიორთა კვოტის, მიმართულებისა და დარგის/სპეციალობის, ასევე სტაჟირებისათვის განკუთვნილი ვაკანსიების სპეციფიკიდან გამომდინარე, უცხო ენის ცოდნის აუცილებლობის შესახებ.

6^1. საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, მოთხოვნიდან 10 დღის ვადაში ბიუროს მიაწოდოს ინფორმაცია მხოლოდ იმ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მიმართულებისა და დარგის/სპეციალობის თაობაზე, რომელთაც განაცხადეს პროგრამაში მონაწილეობაზე წერილობითი თანხმობა.

7. სტაჟიორობის კანდიდატი უფლებამოსილია, რეგისტრაციის დასრულებიდან 10 დღის ვადაში გამოცხადდეს სტაჟირების ადგილზე და გაიაროს რეგისტრაცია საჯარო დაწესებულებაში. სტაჟიორობის კანდიდატის სტაჟირების ადგილზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, 10 დღის ვადაში აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია ელექტრონულად განათავსოს პროგრამის ვებგვერდზე (stajireba.gov.ge).

8. სტაჟირების ადგილზე დარეგისტრირებული სტაჟიორობის კანდიდატის რეგისტრაციის დასრულებიდან 10 დღის განმავლობაში საჯარო დაწესებულებაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სტაჟიორობის კანდიდატი კარგავს პროგრამის მიმდინარე ნაკადში მონაწილეობის მიღების უფლებას.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 თებერვლის დადგენილება №65 – ვებგვერდი, 20.02.2015წ.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 2 სექტემბრის დადგენილება №454 - ვებგვერდი, 04.09.2015წ.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 დეკემბრის დადგენილება №547 – ვებგვერდი, 21.12.2017წ.

მუხლი 6^1. სტაჟირების გავლის სპეციალური წესი

1. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (შემდგომში – აპარატი) ბიუროსგან იღებს ინფორმაციას საჯარო დაწესებულებებში ამ პროგრამის მე-3 მუხლის 1^1 პუნქტით გათვალისწინებული სტაჟიორთა კვოტის შესახებ.

2. აპარატი ამ პროგრამის მე-3 მუხლის 1^1 პუნქტით გათვალისწინებული სტაჟიორთა კვოტის შესაბამისად აქვეყნებს ვაკანსიას ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე (www.hr.gov.ge).

3. საჯარო დაწესებულებაში ამ პროგრამის მე-3 მუხლის 1^1 პუნქტით გათვალისწინებულ სტაჟიორად პირი მიიღება ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე (www.hr.gov.ge) განთავსებულ ვაკანსიაზე განაცხადის რეგისტრაციისა და სტაჟირების საკონკურსო კომისიასთან გასაუბრების მეშვეობით.

4. განაცხადების გადარჩევას ახორციელებს სტაჟირების უწყებათაშორისი საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობასა და დებულებას ამტკიცებს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი. უწყებათაშორისი საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში შედის იმ საჯარო დაწესებულების წარმომადგენელი, სადაც სტაჟირება უნდა გაიაროს შერჩეულმა კანდიდატმა.

5. ამ პროგრამის მე-3 მუხლის 1^1 პუნქტით გათვალისწინებული სტაჟირებით დაინტერესებული კანდიდატებიდან გასაუბრებაზე მიწვეულნი იქნებიან ის კანდიდატები, რომელთა სამოტივაციო წერილებში ნათლად და არგუმენტირებულად იქნება დასაბუთებული სტაჟირების გავლის მოტივაცია. ამ პროგრამის მე-3 მუხლის 1^1 პუნქტით გათვალისწინებული სტაჟიორების განაწილება შესაბამის საჯარო დაწესებულებაში ხდება სტაჟირების საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, რომელიც საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს სტაჟირების გამოცხადებიდან 30 დღის ვადაში.

6. საკონკურსო კომისია მიღებულ გადაწყვეტილებას აცნობებს ბიუროსა და შესაბამის საჯარო დაწესებულებებს.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 დეკემბრის დადგენილება №547 – ვებგვერდი, 21.12.2017წ.

მუხლი 7. სტაჟირების ვადაზე ადრე შეწყვეტა

1. სტაჟირების ვადაზე ადრე შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს:

ა) სტაჟიორის პირადი განცხადება;

ბ) სტაჟირების პერიოდში, არასაპატიო მიზეზით, ზედიზედ 5 დღის განმავლობაში სტაჟირების გავლის ადგილზე გამოუცხადებლობა;

გ) დავალების არაერთგზის ბრალეული შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება, რაც დასტურდება სტაჟირების ხელმძღვანელის მიერ დასაბუთებული დასკვნით;

დ) საქართველოს კანონმდებლობით, საჯარო დაწესებულების შინაგანაწესის ან/და საჯარო დაწესებულებასა და შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის გაფორმებული შეთანხმებით განსაზღვრული სხვა შემთხვევები;

ე) სტაჟირებისათვის განკუთვნილი სპეციფიკური ვაკანსიებიდან გამომდინარე საჯარო დაწესებულების მიერ განსაზღვრული უცხო ენის არცოდნა.

2. სტაჟირების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი და ამის შესახებ, ერთი კვირის ვადაში, აცნობებს ბიუროს.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 თებერვლის დადგენილება №65 – ვებგვერდი, 20.02.2015წ.

მუხლი 8. სტაჟიორის უფლება-მოვალეობები

1. სტაჟიორს, სტაჟირების პერიოდში, ენიშნება სტაჟირების ხელმძღვანელი, რომელიც მას უწევს ზედამხედველობას, სამუშაო აღწერილობის ფარგლებში.

2. სტაჟიორს უფლება აქვს, სტაჟირების ხელმძღვანელის თანხმობით:

ა) გაეცნოს შესაბამისი საჯარო დაწესებულების სტრუქტურული ერთეულისა და, მთლიანად, საჯარო დაწესებულების მუშაობის სპეციფიკას, კომპეტენციის ფარგლებში, მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა საკითხზე გადაწყვეტილებების მომზადების პროცესში;

ბ) გაეცნოს სამსახურებრივ დოკუმენტაციას, მათ შორის, საარქივო მასალებს, ისარგებლოს სათანადო ინფორმაციით (ელექტრონული საშუალებებით და სხვა), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს საჯარო დაწესებულების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში;

დ) სტაჟირების მიმდინარეობისას გამოვლენილი ხარვეზების შესახებ, დასაბუთებული წერილობითი ფორმით, შეატყობინოს საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელს;

ე) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა უფლებები.

3. სტაჟიორი ვალდებულია:

ა) დადგენილ ვადებში შეასრულოს ყველა ის დავალება, რომელიც მას დაეკისრება სტაჟირების ხელმძღვანელის მიერ და რომელიც გამომდინარეობს საჯარო დაწესებულების დებულებითა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებით გათვალისწინებული საქმიანობის სპეციფიკიდან;

ბ) დაიცვას საჯარო დაწესებულების შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები, სტაჟირების თავისებურებათა გათვალისწინებით;

გ) დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საიდუმლოების პრინციპი.

4. სტაჟიორის ფუნქციური უფლებამოსილებები გამომდინარეობს საჯარო დაწესებულების სტრუქტურული ერთეულის დებულების შინაარსიდან, ხოლო მისი საჯარო დაწესებულებაში ყოფნისა და ქცევის წესები - შესაბამისი საჯარო დაწესებულების შინაგანაწესიდან.

მუხლი 9. საჯარო დაწესებულების უფლება-მოვალეობები

1. საჯარო დაწესებულება სტაჟიორს უქმნის სათანადო პირობებს, პროფესიული უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული გამოცდილების შესაძენად.

2. აქტიური სტატუსის მქონე სტაჟიორი სტუდენტების შემთხვევაში, საჯარო დაწესებულება და შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება თანხმდებიან სტაჟიორის საჯარო დაწესებულებაში ყოფნის გრაფიკის თაობაზე, სასწავლო პროცესთან სტაჟირების ინტეგრირების მიზნით.

3. საჯარო დაწესებულება ვალდებულია, წელიწადში ორჯერ, ბიუროს მიაწოდოს სრული ინფორმაცია სტაჟირებასთან

დაკავშირებით, სტაჟირების თითოეული ნაკადის დასრულებისთანავე.

მუხლი 10. სტაჟირების ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები

1. სტაჟირების ხელმძღვანელი ვალდებულია, საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, კოორდინაცია გაუწიოს სტაჟიორთა ჯგუფს ან პერსონალურად, კონკრეტულ სტაჟიორს.

2. სტაჟიორის ხელმძღვანელი, პირადად, აკონტროლებს სტაჟიორის მიერ გაწეულ მუშაობას, პერიოდულად აწვდის სასწავლო თემატიკას, აძლევს დავალებებს, კოორდინაციას უწევს სტაჟიორის საქმიანობას.

3. სტაჟირების ხელმძღვანელი ვალდებულია, სტაჟიორს შეუქმნას შესაბამისი გარემო, სათანადო პროფესიული გამოცდილების მიღების მიზნით.

4. სტაჟირების ხელმძღვანელი უფლებამოსილია, დასაბუთებული გადაწყვეტილებით მოითხოვოს სტაჟირების ვადაზე ადრე შეწყვეტა.

5. სტაჟირების ხელმძღვანელი ვალდებულია, სტაჟირების შედეგები აცნობოს საჯარო დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ხელმძღვანელს, პროგრამის ვებგვერდზე (stajireba.gov.ge) ინფორმაციის ელექტრონულად განთავსების ან/და შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციისათვის გაგზავნის მიზნით.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 2 სექტემბრის დადგენილება №454 - ვებგვერდი, 04.09.2015წ.

მუხლი 11. სტაჟირების დასრულება

1. სტაჟირების ვადის გასვლის შემდეგ, საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) სტაჟირების შედეგების დადებითი შეფასების შესახებ;

ბ) სტაჟირების შედეგების უარყოფითი შეფასების შესახებ.

2. სტაჟირების შედეგების დადებითი შეფასების შემთხვევაში, სტაჟიორს ეძლევა სტაჟირების წარმატებით გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი, შესაბამისი საჯარო დაწესებულების მიერ.

დანართი

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 2 სექტემბრის დადგენილება №454 - ვებგვერდი, 04.09.2015წ.

თანხმობის ფორმა

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვაცხადებ თანხმობას სტაჟირების სახელმწიფო პროგრამის მიზნებისათვის სტაჟირების სახელმწიფო პროგრამისთვის საჭირო ყველა ჩემი მონაცემი, მათ შორის: პირადი ნომერი, სახელი, გვარი, იმ საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება, რომელშიც ვსწავლობ ან ვსწავლობდი, უმაღლესი განათლების მიმართულება, დარგი/სპეციალობა, აკადემიური მოსწრება GPA ან/და შეფასების საშუალო არითმეტიკულის შესახებ ინფორმაცია გადაეცეს სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს.

№	პირადი ნომერი	სახელი	გვარი	ხელმოწერა